

მედიცინისა და სტომატოლოგიის სკოლა

ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

“სტომატოლოგია“

სწავლების საფეხური: ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

(სწავლის შედეგებით უთანაბრდება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს)

ფართო სფერო: ჯანდაცვა, სოციალური კეთილდღეობა

Health and Welfare

ვიწრო სფერო: ჯანდაცვა (Health)

დეტალური სფერო: დენტალური მედიცინა (Dental Studies)

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: დიპლომირებული სტომატოლოგი

Doctor of Dental Medicine (D.M.D)

პროგრამის ხაგრძლივობა: 5 წელი (10 სემესტრი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებში: 300 კრედიტი

პროგრამაზე სწავლის წინაპირობა: პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის ხელმძღვანელი:

პროფესორი ქეთევან ფრანჩუკი

პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია, დემოკრატიულ გარემოში შრომის ბაზარზე კონკურენტუარიანი და კვალიფიციური დიპლომირებული სტომატოლოგების მომზადება, რომლებსაც სტომატოლოგიური საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამოყენებით შეეძლებათ სწავლის, კვლევის და სამედიცინო პრაქტიკული საქმიანობის ჰარმონიული განხორციელება.

პროგრამის მიზნები უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის შესაბამისია. ის საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ.

პროგრამის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

1. განმარტოს ადამიანის ორგანიზმის და შემადგენელი ქსოვილების ნორმალური სტრუქტურა, ორგანოთა ურთიერთკავშირი, ორგანიზმის, მისი სისტემების და ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების არსი, ქიმიური ელემენტების და ადამიანის ორგანიზმის ცხოველქმედებაში ნაერთების როლი, ცოცხალ ორგანიზმში აღმოცენებადი და მასზე მოქმედი ფიზიკური მოვლენები, ორგანიზმის ცალკეულ ორგანოებსა და ორგანოთა სისტემებში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები, ბიოსამედიცინო მეცნიერებების არსი, სამედიცინო პრაქტიკაში ეთიკური ნორმების, სტომატოლოგიური სამსახურის ორგანიზების, ჯანდაცვის სისტემის მენეჯმენტში ჩართულობის, ჰიგიენისა და ეპიდემიოლოგიური ნორმების მნიშვნელობის, დაავადების პრევენციის განხორციელებისათვის შესაბამისი ცოდნის აუცილებლობა.
2. აღწეროს როგორც მოზრდილთა და ისე ბავშვთა და მოზარდთა ასაკის პაციენტებში სტომატოლოგიური პროფილის და ასევე სხვადასხვა ეტიოლოგიისა და პათოგენეზის დაავადებათა კლინიკა, დიაგნოსტიკა და დიფერენციალური დიაგნოსტიკა, მკურნალობის და პროფილაქტიკის მეთოდები.
3. შეძლებს სამეცნიერო ნაშრომის გაფორმებას, კვლევისათვის კითხვის ადეკვატურად დასმას, ინფორმაციის მოსამიებლად გამოიყენოს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას, შესაბამისი კვლევის მეთოდების სწორად შერჩევას და მიღებული შედეგების შეჯამებას.
4. გამოიყენოს როგორც მოზრდილთა და ისე ბავშვთა და მოზარდთა ასაკის პაციენტებში სტომატოლოგიური პროფილის სხვადასხვა ეტიოლოგიისა და პათოგენეზის დაავადებების მკურნალობის, პროფილაქტიკის, სამკურნალო

საშუალებების შესახებ მიღებული ცოდნა ამ დაავადებების ადეკვატურ მკურნალობასა და საჭიროებისამებრ ექიმისათვის ასისტირების გაწევისათვის.

5. გამოიყენოს სხვადასხვა ეტიოლოგიის და პათოგენეზის დაავადებების მკურნალობის მეთოდების ცოდნა, ამ დაავადებების ადეკვატურ მკურნალობაში და ასევე მკურნალწამლო საშუალებების სწორ შერჩევასა და დადგენილი წესის შესაბამისად გამოწერაში.
6. განახორციელოს დაავადებების პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემისა და სტომატოლოგიური საქმიანობის დაგეგმვის ეფექტური ღონისძიებები.
7. თეორიული ცოდნისა და შეძენილი უნარების საფუძველზე გაანალიზოს სხვადასხვა ეტიოლოგიისა და პათოგენეზის დაავადებების დროს პაციენტის სუბიექტური და ობიექტური მონაცემები, მკურნალობის საჭირო მეთოდები და გამოიტანოს არგუმენტირებული დასკვნები.
8. განახორციელოს ეფექტური კომუნიკაცია პაციენტთან და კოლეგებთან, როგორც მშობლიური, ისე უცხო ენებზე.
9. დაიცვას ეთიკური პრინციპები პაციენტებთან და კოლეგებთან ურთიერთობის დროს.
10. შეძლებს ცოდნის დამოუკიდებლად მოპოვებას და ინფორმაციის დამუშავებას.

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

პროგრამის ხანგრძლივობა 5 აკადემიური წელი ანუ 10 სემესტრია და მოიცავს 300 კრედიტს (1 კრედიტი = 30 საათი; პროგრამის 300 კრედიტი = 9000 სთ).

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება). სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა დაძლიოს 30 კრედიტი (30 კრედიტი = 900 სთ., ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი, თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა.

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა

სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია დიპლომირებული სტომატოლოგის საქმიანობისათვის საჭირო კომპეტენციების მიღწევის უზრუნველყოფაზე, რომლის განხორციელება შესაძლებელია პროგრამის სხვადასხვა სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნისა და უნარების სინთეზის საფუძველზე, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ეროვნულ ჩარჩოს შესაბამისად. პროგრამის არქიტექტონიკა შეესაბამება დიპლომირებული სტომატოლოგის დასაქმების ბაზრის მოთხოვნებს.

დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევაზე და რაც დიპლომირებული სტომატოლოგის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების საფუძველს იძლევა. სწავლის შედეგების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავს დიპლომირებული სტომატოლოგის პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას, რაც ასახულია სასწავლო გეგმაში (დანართი 1).

დიპლომირებული სტომატოლოგის“ სასწავლო პროგრამა - 300 კრედიტი, მათ შორის:

- სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები - 275 კრედიტი
- უცხოური ენა - 15 კრედიტი
- არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი

შენიშვნა: სტუდენტს შეუძლია 10 კრედიტის ფარგლებში აირჩიოს სხვა საგანმანათლებლო პროგრამიდან სასწავლო კურსი.

სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რეალიზაცია ხდება სასწავლო კურსებში ლექციების, ჯგუფში მუშაობის, პრაქტიკული მეცადინეობების საშუალებით, ასევე სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის გზით.

ლექციის დანიშნულებაა სილაბუსით გათვალისწინებული თემების თეორიული გააზრება, განზოგადება და პრობლემურ დონეზე განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა შესაბამისი მეთოდოლოგიური ინფორმაციით და ტერმინოლოგიით. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ

კრიტიკულ ანალიზზე. ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მეცადინეობის დანიშნულებაა ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება. პრაქტიკული აპლიკაცია. სწავლებისა და სწავლის პროცესში გამოიყენება როგორც ვერბალური, ისე წერიითი, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მუშაობის მეთოდები; დავალებათა შესასრულებლად და საკითხების ვიზუალიზაციისათვის შემოქმედებითად იქნება გამოყენებული საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, წიგნზე მუშაობის მეთოდი; აქტიურად იქნება გამოყენებული ისეთი მეთოდები, როგორცაა:

- ახსნა-განმარტებითი
- დემონსტრირების
- დისკუსიის მეთოდები
- Tacit learning
- შემთხვევის ანალიზი (Case study)
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- კლინიკურ შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლა (CBL)
- როლური თამაში
- ზეპირი გამოკითხვა.
- დისკუსია/ დებატები
- ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება
- პრაქტიკული სამუშაო
- ჯგუფში (collaborative) მუშაობა.
- Productive Failure
- ლაბორატორიული სამუშაო
- რეფერატი (პრეზენტაციით)
- ქვიზი
- Critical reflection
- Storytelling
- კვლევითი პროექტი

კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში გამოიყენება, როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება, რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა - უფრო აქტიური.

სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე. სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით და მოიცავს შეფასების ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსების სილაბუსებში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.